ნამდვილი საზეიმო განწყობილება მაშინ იქმნება ხოლმე, როცა საქმე კარგად მიდის. ეს კი ყველამ დავინახეთ და ვიგრძენით საქართველოში.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 46 (18288) ხუთშაბათი, 25 თებერვალი, 1982 წელი ფასი 3 კაპ.

ლ. ი. ბრეჟნევი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა არის სოციალისტური საერთო სახალხო სახელმწიფო, რომელიც მუშების, გლეხებისა და ინტელიგენციის, რესპუბლიკის ყველა ერისა და ეროვნების მშრომელთა ნებასა და ინტერესებს გამოხატავს.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუცია, მუხლი 1.

საქართველოს სსრ დაჯილდოებული მხატვრის ო. ჯიშკარიანის პლაკატი.

ზ. პატარიძე,
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე

მოძმე ხალხთა ერთიან ოჯახში

საბოლოდ მეორეთად — ეგებება ქართველი ხალხი თავისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის ფურცლებზე ნათელ დღესასწაულს — საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებასა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის დღეს. 1921 წლის 25 თებერვალს ახდა ჩვენი ხალხის ოდინდელი ოცნება: ქართველი ერი გამთავისუფლდა პოლიტიკური და ეროვნული ჩაგვრისაგან და მოიპოვა თავისუფლება, დამოუკიდებლობა, სოციალისტური სახელმწიფოებრიობა, აღორძინდა ახალი ცხოვრების შენებისათვის.

დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ, რომელიც ხალხის მასებმა ვ. ი. ლენინისა და კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მოახდინეს, მეფის რუსეთის წინათ ჩაგრულ ხალხებს და მთ შორის ქართველ ხალხს გადაუშალეს სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული განვითარების ნათელ გზა.

ადგილი მადლიერების გრძნობით იგონებს ჩვენი ხალხი ადამიანებს, რომლებიც იდგნენ ოქტომბრის სათავეებთან, ქედდნენ თვითმპყრობელობისა და ოფიციის ძალებზე გამარჯვებას, არ იშურებდნენ სიცოცხლეს კომუნისტური იდეების, ადამიანის სიკეთის, ბრძოლის უფლების, თავისუფლების მოპოვებისა და ქვეყნად ბედნიერების დამკვიდრებისათვის ბრძოლაში. ქართველ რევოლუციონერ-ლენინელთა სახელოვან კოჰორტას შეადგენენ იოსებ სტალინი, საშა წულუკიძე, ლადო კეცხოველი, ალიოშა ჯაფარიძე, მიხა ცხაკაია, ვანო სტურუა, სერგო ორჯონიკიძე, ფილიპე მახარაძე, აბელ ენუქიძე და სხვები.

როცა დღეს თვალს ვაკვლებთ ქარფველი ხალხის მიერ მიღწეული მწვერვალებიდან რესპუბლიკაში საბჭოთა ხელისუფლების ჩამოყალიბების პირველ წლებს, ინდუსტრიალიზაციისა და კოლექტივიზაციის წლებს, შრომის პეროიკითა და სახალხო ენთუზიაზმის პათოსით აღსავსე წლებს, ჩვენ ჯეროვან პატივს მივაგებთ იმათ ხსოვნას, ვინც არარად აგდდა სიძნელეებს, სძლევდა ყოველგვარ დაბრკოლებას, იქერგებდა და თავდადებით შრომობდა მშენებლობებზე და მინდვრებში, აშენებდა ფაბრიკა-ქარხნებს, აშრობდა ჭაობებს, გაყავდა გზები, ეუფლებოდა მეცნიერებას, აშენებდა ახალ, ბედნიერ ცხოვრებას. პირველი ხუთწლედების წლების მაძნილზე საქართველოში შეიქმნა მრეწველობის უმნიშვნელოვანესი დარგები, — ენერგეტიკა, მანქანათმშენებლობა, მეტალურგია, საშენ მასალათა მრეწველობა, ნავთობგადამუშავება, მსუბუქი, საკონსერვო მრეწველობა და სხვები, აშენდა 815 სამრეწველო ობიექტი. იმ წლებში მთელი ქვეყანა აღაპარაკეს სახელოვანმა შრომის გმირებმა — ქართველმა სტახანოველებმა ვლადიმერ სალაძემ, ვასილ სამხარაძემ, დავით ჭიჭინაძემ და მრავალმა სხვამ.

მუხანათური თავდასხმა, რომლითაც ფაშისტურმა გერმანიამ საფრთხეში ჩააგდო ჩვენი საბჭოთა სამშობლო, საქართველოს რესპუბლიკისათვის, ისევე როგორც მთელი საბჭოთა საზოგადოებისა და მისი ეკონომიკისათვის, სერიოზული განსაცდელი იყო და სწორეს დიდი სამამულო ომის ფრონტებზე სამშობლოს თავისუფლების, ღირსებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში.

მიჩუმდა ზალპები კაცობრიობის ისტორიაში უსამაგალითო ომისა, რომელიც ჩვენი ხალხის ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრდა. ქვეყანა და მასთან ერთად საბჭოთა საქართველო დაორკეცებულ ენერგიით, მთელი თავიანთი სულიერი და ფიზიკური ძალების უმაგალითო დაძაბვით შეუდგნენ ომით მიყენებული ჭრილობების მოშუშებას.

გზა, რომელიც რესპუბლიკამ 61 წლის მანძილზე გამოიარა. მკაფიოდ მოწმობს საბჭოთა საზოგადოებრივი და სახელმწიფო წყობილების უსაზღვრო ძლიერებას, საქართველოს რესპუბლიკის მაგალითი თვალსაჩინოდ და დამაჯერებლად გვიჩვენებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის ცხოველმყოფელობასა და სიბრძნეს, პოლიტიკისა, რომლის მიზანია ყველა საბჭოთა რესპუბლიკის სოციალისტური საზოგადოებრივი ურთიერთობა, ეკონომიკა, კულტურა, ეროვნული ურთიერთობა, ეროვნული ენა, ეროვნული ფერი, ეროვნული ხასიათი, ეროვნული ეკონომიკა, ეროვნული ინტერესები, ეროვნული ეროვნული ... ეროვნული ... ეროვნული ...

ვცხოვრობთ ხვალის დღის შენებით, შრომით!

ყველა თავის წარმატებას საქართველო აღწევს საბჭოთა რესპუბლიკების ძმურ ოჯახში, მთელი საბჭოთა ხალხის დახმარებისა და მუდმივი მხარდაჭერის მეოხებით.

ე. შევარდნაძე.

მოძმე ხალხთა ერთიან ოჯახში

(დასასრული).

იმისათვის, რომ მაღალ შედეგებს მიაღწია საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში, წარმატებით შეასრულა საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981 წლის სახელმწიფო გეგმა.

მაღალი და სპეციალ ჯილდო რესპუბლიკის მშრომელებმა დიდი სიხარულისა და მადლიერების გრძნობით აღიქვეს. ამასთანავე მაღალი ჯილდო ვეგალებს არ დავჯერდეთ მიღწეულს, კრიტიკულად გავანალიზოთ და უფროკლეს ვადაში აღმოვფხვრათ ჩვენს მუშაობაში ჯერ კიდევ არსებული ნაკლოვანებანი.

ამ ამოცანის გადასაწყვეტად ჩვენ ყველა შესაძლებლობა გვაქვს. **გაბედული ხუთწლედების მანძილზე, მეტადრე 70-იანი წლებიდან,** რესპუბლიკაში შეიქმნა მტკიცე ეკონომიკური ბაზა, რომელიც უზრუნველყოფს წარმოების განვითარების სულ უფრო მზარდ ტემპს.

ჩვენი პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საბჭოთა მთავრობამ ამჟამად ლ. ი. ბრეჟნევის პირადი ინიციატივით ამ ბოლო წლებში მიიღეს მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი დადგენილებანი საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების შესახებ. ამ ფუძემდებელი პარტიული დოკუმენტებით განსაზღვრული ამოცანების განხორციელებამ სასიკეთო გავლენა მოახდინა საერთოდ რესპუბლიკაში მიმდინარე ზოგადეკონომიკურ პროცესებზე, მატერ. მეცხრე და მეათე ხუთწლედებში სახალხო მეურნეობის დარგების ეკონომიკური პოტენციალი და ძირითადი საწარმოო ფონდები თითქმის ერთიორად გაიზარდა.

ყოველივე ეს რეალურ წანამძღვრებს გვაქმნის იმისათვის, რომ სისტემატურად შეამციროთ რესპუბლიკის ჩამორჩენა საშუალო საკავშირო დონისაგან ისეთი, უმნიშვნელოვანესი მაჩვენებლების მიხედვით, როგორიც არის ეროვნული შემოსავალი, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება ერთ სულ მოსახლეზე. გაანგარიშებით, შრომის ნაყოფიერება, რესურსები, ბუნებრივი კლიმატური და, უწინარეს ყოვლისა, შრომითი რესურსების გამოყენება, რათა უზრუნველყოთ სპეციალისტთა მაღალკვალიფიციური კადრების, მეცნიერების შესაძლებლობათა რაციონალური და სრული ჩაბმა წარმოებაში.

დიდი ლენინის პარტიის ხელმძღვანელობით, დიდი რუსი ხალხის, საბჭოთაის ყველა ხალხის მუდმივი დახმარების მეოხებით საქართველო ერთ-ერთ მოწინავე რესპუბლიკად გადაიქცა საბჭოთა კავშირში.

უკანასკნელი ათწლეულის მანძილზე საქართველოში აშენდა და რეკონსტრუქრებულია 500-ზე მეტი **სამრეწველო საწარმო.**

მეათე ხუთწლედში მრეწველობის პროდუქციის საერთო მოცულობა რესპუბლიკაში 41 პროცენტით გაიზარდა. გაუმჯობესდა სამრეწველო საქმიანობის თვისებრივი მაჩვენებლები. ათვისებულია 300-ზე მეტი დასახელების მრეწველობის პროდუქციის წარმოება. ხუთწლედის დამლევს 2386 ნაწარმს ჰქონდა სახელმწიფო ხარისხის ნიშანი.

კურსი, რომელსაც პარტია დაადგა სოფლის მეურნეობის ყოველმხრივი განვითარებისა და ინტენსიფიკაციისათვის, წარმატებით ხორციელდება საქართველოს სს რესპუბლიკაშიც.

მრეწველობის პროგრესულ დარგებთან ერთად სასოფლო-სამეურნეო წარმოება, რომელიც სულ უფრო მტკიცედ დგება ინდუსტრიულ რელსებზე, დღეს რესპუბლიკის ეკონომიკის უმნიშვნელოვანეს დარგს წარმოადგენს და საერთო-საკავშირო მნიშვნელობა აქვს. საკმარისია ითქვას, რომ ამჟამად სამრეწველო წარმოების მთელი მოცულობის პროდუქციის დაახლოებით 40 პროცენტი გამოდის რესპუბლიკაში დამზადებული სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის გადამუშავების საფუძველზე.

გეგმაზომიერად და განუხრელად ხორციელდებოდა დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებანი **სოფლის მეურნეობის მართვის** სისტემის შემდგომი სრულყოფის, მისი დაგეგმვის უფრო მობილური სტრუქტურის შექმნის მიზნით. დიდი მუშაობაა გაწეული იმისათვის, რომ სისტემატურად უკონტროლებოდეს კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციების საქმიანობა. ამის მეოხებით რესპუბლიკაში, ამინდის პირობების მიუხედავად — ეს პირობები კი, როგორც ცნობილია, ხშირად ვერ არის ხოლმე მთლად ხელსაყრელი, — წელითოწლეულობით იზრდება პროდუქციის მოცულობა, მთლიანად და გადაჯარბებით სრულდება არა მარტო დავალებები, არამედ აგრეთვე ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებანი.

სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის **საშუალო წლიური მოცულობა** 1976-1980 წლებში გაიზარდა 34 პროცენტით ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებული 29 პროცენტის ნაცვლად. მიღწეულია დარგის პროფილისა და სპეციალიზაციის განსაზღვრული პროდუქციის წარმოების მყარი ზრდა:

უმაგალითო გაკეთება ჰქონა რესპუბლიკაში საირგაციო მშენებლობამ, რომელსაც უპირველესი მნიშვნელობა ენიჭება სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი ინტენსიფიკაციისათვის. თუ მთელი ომამდელი პერიოდის მანძილზე აშენებული სარწყავი სისტემები — ალაზანის, ტირიფონის, მეხტაგის, დოეს-ბრაკალის, სოფმაშველისა და სხვები — უზრუნველყოფდნენ 242 ათასი ჰექტარის რწყვას, ომისშემდგომ ხუთწლედებში რწყვის ფართობმა მიაღწია 400 ათას ჰექტარზე მეტს, რაც რესპუბლიკის მთელი სახნავის ნახევარს სჭარბობს, ხოლო მეთერთმეტე ხუთწლედში იგი კიდევ 60 ათასი ჰექტარით გადიდდება.

დიდი მუშაობა წარმოებულ დაჭაობებული მიწების დასაშრობად. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ახლა ქართველი ერის ოდინდელი ნატვრა კოლხეთის დაჭაობის ათვისების შესახებ. ჭაობებს უკვე წყვრთვით 100 ათას ჰექტარზე მეტი. მიმდინარეობს ამ ფართობების ათვისება. სამარცვლე, სუბტროპიკული, ტექნიკური, საკვები და სხვა კულტურებისათვის.

საქართველო ახალმშენებლობათა ხარაჩოებით არის დაფარული. ახლა ვერ იტყოთ ქალაქს, რაიონსე ცენტრს, სოფელს, სადაც არ იგრძნობოდეს მშენებლობის ძალუმი მაჯისცემა. მიმდინარეობს საბინაო და კომუნალური მეურნეობის, მომსახურების სფეროს ძირითადი ფონდების განახლება. გასული ხუთწლედის მანძილზე რესპუბლიკაში ათვისებულია კაპიტალური დაბანდებანი 7,3 მილიარდი მანეთის მოცულობით, რაც 40 პროცენტით მეტია მეცხრე ხუთწლედთან შედარებით. საკმაოდ ინტენსიურად გადაეცა 8 მილიონ კვადრატულ მეტრზე მეტი სიცხოვრებელი ფართობი, რის შედეგადაც საბინაო მოსახლეობა გაუმჯობესა რესპუბლიკის 700 ათასმა მცხოვრებმა. წარმატებით დაამთავრეს მშენებლებმა მეთერთმეტე ხუთწლედის პირველი წელიც. მიღწეული ზრდის ტემპი უკვე საშუალო საკავშირო აპარებს — რესპუბლიკის სოციალისტური შენებლობის ისტორიაში ასეთი რამ პირველად მოხდა.

საქართველოს საგზაო მშენებლობას ჰქონდა ტრადიციები აქვს.

მეთერთმეტე ხუთწლედში სატრანსპორტო სამუშაოთა მასშტაბი კიდევ უფრო მეტად გაიზრდება — მიმდინარეობს არსებული ხაფანგების ფართობის გაზრდა — ამ ბილ ნაგებობის რეკონსტრუქცია, შენდება ახალი ობიექტები, იგება მეორე რკინიგზის ლიანდაგები.

მომწიფებულ სოციალისტურ საზოგადოებაში წარმატებით ვითარდება ერთიანი სახალხო-სამეურნეო კომპლექსი, საბჭოთა კავშირის ხალხთა ძმური მეგობრობის მატერიალური საფუძველი. ამ პროცესში სულ უფრო მეტად იზრდება თითოეული მოკავშირე რესპუბლიკის, მათ შორის საქართველოს როლი და პასუხისგებლობა. ყველა საფუძველი გვაქვს განვაცხადოთ, რომ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ბევრი სახეობის პროდუქციის მიხედვით ჩვენს რესპუბლიკას ახლა წმეფენს ეკონომიკაში წამყვანი პოზიციები უკავია. მაგალითად, ჩვენში იღებენ სსრ კავშირში მოპოვებული მანგანუმის მადნის 28,5 პროცენტს. საქართველოს რესპუბლიკის წილად მოდის ქვეყანაში გამოშვებული მაგნიტოგრაფი ელმავლების 31 პროცენტი, წარმოებული ტუნგენის ზეთის 100 პროცენტი, ჩაის 95 პროცენტი. საქართველო უზრუნველყოფს ხილისა და ციტრუსის საერთო-სახელმწიფო შესყიდვის 11 პროცენტს, ყურძნის 14 პროცენტს, ციტრუსის 100 პროცენტს და ა. შ.

საბჭოთა ხელისუფლებამ, კომენტისტური პარტიის ეროვნული პოლიტიკის ლენინური პრინციპების განუხრელმა განხორციელებამ უზრუნველყო რესპუბლიკაში **სახალხო განათლების, მეცნიერების, კულტურის** მძლავრი განვითარება.

ცოდნის სხვადასხვა დარგის თვალსაჩინო სწავლულთა გამაერთიანებელი მეცნიერული აზროვნების დიდი ცენტრი გახდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემია. წარმატებით ვითარდება ენციკლოპედიკის, ბიოლოგიის, ფიზიკის, ასტროფიზიკის, ფიზიოლოგიის, ენათმეცნიერების დარგებში. თანამედროვე მეცნიერების თვალსაჩინო თეორიული პრობლემების დამუშავებასთან ერთად ქართველი მეცნიერები დიდ ყურადღებას უთმობენ უშუალო პრაქტიკული სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობის საკითხთა გადაწყვეტას.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი შედეგებია მიღწეული **მედიცინისა და მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების** დარგში. უფროს თაობათა ადამიანებს უკვე დაავიწყდათ, ხოლო ჩვენს თანამედროვეებს არც კი წარმოუდგენიათ ისეთი დრო, როცა ყოველწლიურად ათასობით სიცოცხლეს იწირავდა ისეთი საშინი სნეულებანი, როგორიც იყო შავი ჭირი, მალარია, ყვავილი, პარტახტიანი ტიფი, — ისინი უკვე დიდი ხანია ლიკვიდირებულია. ახლა ანმრთელობის დაცვის საქმის დაყენების დონის მიხედვით საქართველოს წამყვანი პოზიციები უკავია ქვეყანაში.

ნამდვილ აყვავებას მიაღწია **ქართული საბჭოთა ლიტერატურამ.** ჩვენი მხატვრული ნაკუყვის ოსტატები განაგრძობენ და ახალი შინაარსით ამდიდრებენ ქართული პროზისა და პოეზიის ტრადიციებს. ამ პროცესში სულ უფრო მეტად იზრდება თითოეული ეროვნული ლიტერატურის ალალმართლად არის ასახული საბჭოთა სინამდვილე, კომუნიზმის მშენებელთა შთაგონებული შრომა, წარმოჩენილია საბჭოთა ადამიანის სულიერი სამყაროს სიმდიდრე, რომელიც კომუნისტური მორალის პრინციპებს ამკვიდრებს.

რუსპუბლიკაში გაიზარდა ნიჭიერ ხელოვანთა — კომპოზიტორთა, მოქანდაკეთა, მხატვართა, რეჟისორთა, თეატრისა და კინოს მსახიობთა მრავალრიცხოვანი რაზმი, რომელთა შემოქმედებამ ფართოდ გაითქვა სახელი ჩვენს ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთ. წლითიწლობით მტკიცდება ქართველი შემოქმედი ინტელიგენციის ორმხრივი თანამშრომლობა და კონტაქტები მოძმე რესპუბლიკების კულტურის მოღვაწეებთან, საზღვარგარეთელ კოლეგებთან, მაღლდება მისი ავტორიტეტი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოველდღიური ზრუნვის კიდევ ერთი დადასტურებაა ბოლო ხანს მშენებლობაზე პარტიული შტაბის შექმნა, რომლის ხელმძღვანელობა დაეკისრა პარტიის ფეხმძღვანელობა ბ. ბაგაშვილს. შტაბის ხელმძღვანელობით გაერთიანდა ყველა მშენებლის ინტერესები და მიზანსწრაფვა.

1978 წლის დიდი ოქტომბრის რევოლუციის 61-ე წლისთავისათვის მწყობრში ჩადგა პირველი აგრეგატი. ეს იყო დასახული მიზნის განხორციელების გზაზე მშენებელთა მონოლითური მრავალეროვანი კოლექტივის დიდი გამარჯვება, რომელსაც თავის მისასალმებელ წერილში მაღალი შეფასება მისცა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა.

პირველი აგრეგატის საექსპლოატაციოდ გადაცემას მალე მეორე და მესამე აგრეგატების ამოქმედებაც მოჰყვა. 1978 წლის 30 დეკემბერს მესამე აგრეგატის ამოქმედებასთან დაკავშირებით გამართულ ენგურჰესების მშენებელთა ზეიმზე ს.კკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების მიღების მეათე წლისთავს. **საბჭოთა საქართველო** ამ ბრეკიდ ადგას ახალი მიღწევების გზას, გზას, რომელიც დასახა ს.კკპ XXVI ყრილობამ, კომუნისტთა ფართეშმ, საბჭოთა საზოგადოების მიმდინარე ათწლეულის განვითარების მიჭნები რომ განსაზღვრა. **წარმატებით დასაშენებლ ახალი მიჭნები — ეს რესპუბლიკის თითოეული კომუნისტის, ყოველი შრომელის ღირსების საქმეა.** (საქინფორმი).

ჩვენი რესპუბლიკის განახლებულმა ხელმძღვანელობამ როგორც ყველა სამშენებლო ობიექტსა და ყველა დარგს, ენგურჰესის მშენებლობასაც თავიდანვე დიდი ყურადღება დაუთმო. ეს ყურადღება ითვალისწინებდა პირველ რიგში პირველადი პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობის ამაღლებას, მათი მუშაობის ფორმებისა და მეთოდების დახვეწას. გაუმჯობესდა სამეურნეო საქმიანობის კონტროლი, ყურადღების ცენტრში მოექცა კადრების აღზრდის საკითხი, ფორმალიზმის აღმოფხვრა სოციალისტურ შეჯიბრებაში, ნოვატორთა საბჭოებისა და ეკონომიკური ანალიზის ბიუროების გააქტიურება...

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოველდღიური ზრუნვის კიდევ ერთი დადასტურებაა ბოლო ხანს მშენებლობაზე პარტიული შტაბის შექმნა, რომლის ხელმძღვანელობა დაეკისრა პარტიის ფეხმძღვანელობა ბ. ბაგაშვილს. შტაბის ხელმძღვანელობით გაერთიანდა ყველა მშენებლის ინტერესები და მიზანსწრაფვა.

1978 წლის დიდი ოქტომბრის რევოლუციის 61-ე წლისთავისათვის მწყობრში ჩადგა პირველი აგრეგატი. ეს იყო დასახული მიზნის განხორციელების გზაზე მშენებელთა მონოლითური მრავალეროვანი კოლექტივის დიდი გამარჯვება, რომელსაც თავის მისასალმებელ წერილში მაღალი შეფასება მისცა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა.

პირველი აგრეგატის საექსპლოატაციოდ გადაცემას მალე მეორე და მესამე აგრეგატების ამოქმედებაც მოჰყვა. 1978 წლის 30 დეკემბერს მესამე აგრეგატის ამოქმედებასთან დაკავშირებით გამართულ ენგურჰესების მშენებელთა ზეიმზე ს.კკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების მიღების მეათე წლისთავს. **საბჭოთა საქართველო** ამ ბრეკიდ ადგას ახალი მიღწევების გზას, გზას, რომელიც დასახა ს.კკპ XXVI ყრილობამ, კომუნისტთა ფართეშმ, საბჭოთა საზოგადოების მიმდინარე ათწლეულის განვითარების მიჭნები რომ განსაზღვრა. **წარმატებით დასაშენებლ ახალი მიჭნები — ეს რესპუბლიკის თითოეული კომუნისტის, ყოველი შრომელის ღირსების საქმეა.** (საქინფორმი).

აგრეგატების მწყობრით

ტიკური ამოცანაც წარმატებით გადაწყდება".

მესამე აგრეგატის ამოქმედების დღეებში, სხვა მომდევნო ორი აგრეგატის დამონტაჟებასთან ერთად საძირკველი ჩაეყარა ხუფონჯესის მშენებლობას. მისი კაშხალი 190 მეტრ სიმაღლეს მიაღწევს, ხოლო ხუფონის სადგურის ჰიდროაგრეგატები კი, რომელთა სიმძლავრე 740 ათასი კილოვატი იქნება, ყოველწლიურად 1,7 მილიარდ კილოვატსაათ ელექტროენერგიას გამოიმუშავებენ.

მას შემდეგ ენგურჰესის მშენებლობაზე შრომის ტემპმა კიდევ უფრო იმატა: მწყობრში ჩადგა რიგით მეოთხე აგრეგატი, ხოლო 1980 წლის 5 ნოემბერს — უკანასკნელი მეხუთე აგრეგატი. მუშური სიტყვა საქმედ იქცა. მშენებლებმა ეს დიდი გამარჯვება მიუძღვნეს სკკპ XXVI ყრილობასა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობას.

როგორც ვიცით, ენგურჰესის ხუთთვე მინისქვეშა აგრეგატის საერთო სიმძლავრე მილიონ 640 ათასი კილოვატია. დღემდე ამ აგრეგატებმა 6 მილიარდ 780 მილიონ კილოვატსაათი სამრეწველო დენი მისცეს ქვეყნის სახალხო მეურნეობას.

სამშობლომ დიდად დააფასა ჩვენი, ენგურჰესელთა შრომა. ბევრი მშენებელ-მემონტაჟე დაჯილდოდგა ორდენებით და მედლებით, მათ შორის მაღლიკი ენგურჰესელთა სამშენებლო სამმართველოს მეარმატურეთა ბრიგადირს ალექსანდრე ოლეინიკოვს და ენგურჰესის მშენებლობის სამმართველოს უფროსს მიხეილ ცისკარიშვილს მიენიჭათ სოციალისტური შრომის გმირის სპპატენ წოდება და გადაეცათ ლენინის ორდენი და ოქტომბერის ფაკულტეტის კრები. შეიქმნა ყველა პირობა ენგურზე მომუშავე ხუთი ათასამდე ახალგაზრდის ნორმალური ცხოვრებისა და კულტურული დასვენებისათვის.

მშენებლობაზე საქართველოს თეატრალური საზოგადოების ინიციატივით შეიქმნა კულტურის სახალხო უნივერსიტეტი, რომელსაც ორი წლის მანძილზე სათავეში ედგა რესპუბლიკის სახალხო არტისტი, პროფესორი დიმიტრი მჭედლიძე. მოქმედებს კულტურის სახალხო უნივერსიტეტი კინემატოგრაფიის განხრით, რომელის რეტმორია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი რევაზ ჩხეიძე. მშენებლობაზე ჩამოდიან რესპუბლიკის შემოქმედებითი კოლექტივების საუკეთესო ძალები — თბილისისა და რუსთავის თეატრების მსახიობები, მწერლები და პოეტები ნოდარ დუმბაძე, ჯანსუღ ჩარკვიანი, გიორგი ციცაშვილი და სხვები.

ახალ ხუთწლედში კვლავ დიდი სამუშაოებია შესასრულებელი. შარშან მშენებლებმა 34 მილიონ 229 ათასი მანეთის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები შეასრულეს და გეგმა 106,9 პროცენტით გაანაღდეს. მათ შორის ხუფონჯესის მოსაამზადებელ სამუშაოებზე 3 მილიონ 155 ათასი მანეთის ნაცვლად შესრულდა 3 მილიონ 170 ათასი მანეთის სამუშაოები. მიმდინარე წლის იანვრის გეგმა მშენებლობაზე შესრულდა 100,3 პროცენტით, ხუფონჯესის მშენებლობაზე კი 140,9 პროცენტით.

სსრ კავშირის შექმნის მეორის მედალი „ნამგალი და უროს".

რამ განაპირობა ენგურჰესელთა დიდი წარმატება? უპირველეს ყოვლისა, დისციპლინის განმტკიცებისათვის ჩმ საყოველთაო-სახალხო ბრძოლამ, რომელიც ჩვენს რესპუბლიკაში უკანასკნელ ათწლეულში მიმდინარეობდა. თითოეული მუშა, მემონტაჟე, უპირველესად კი კომუნისტები იბრძოდნენ იმათ წინააღმდეგ, ვინც შემრიგებლურ დამოკიდებულებას იჩენდა ჩამორჩენისადმი, ყოველგვარი ნეგატიური მოვლენისადმი. საკავშირო მნიშვნელობის ჩვენს მშენებლობაზე 45 ეროვნების მუშა ძმურად, შეხმატკბილებულად იღვწოდა.

გაჩნდა ქალაქის ტიპის ახალი სიდაბლეებები ჯვარში, საბერიოში, ფოცხოვერში, ხუდონში, გუდავაში. აშენდა კულტურის სასახლე ჯვარში, კულტურის სახლი ფოცხოვერში, სპორტული ბაზა საბერიოში, სპორტული დარბაზი ჯვარში, ახალგაზრდული კაფეები, კლუბები და კულტურული ობიექტები.

ენგურჰესელთა ოჯახებს, ბავშვებს ბაღები, სკოლები, ბიბლიოთეკები, ბავშვთა ბიბლიოთეკა, ბავშვთა ბაღი

ფრთას შლის მეცნიერება, კულტურა, ხელოვნება

ლაურეატები

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტსა და

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

საქართველოს სსრ 1982 წლის მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის სახელმწიფო პრემიების მინიჭების შესახებ

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, რომლებმაც განიხილეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის სახელმწიფო პრემიების მინიჭების წარდგინება, ადგენენ:

მიენიჭოთ 1982 წლის საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემია:

I. მეცნიერების დარგში

1. **ელეიქაშვილს** გიორგი ალექსანდრეს ძეს, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა დამსახურებულ მოღვაწეს, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, ამავე ინსტიტუტის განყოფილების გამგეს; **კაკაბაძეს** ალექსანდრე ივანეს ძეს (სიკვდილის შემდეგ); **ლომონაძეს** ბაბილონა რაფიელის ასულს, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატს, ამავე ინსტიტუტის უფროს მეცნიერ თანამშრომელს; **ლორთქიფანიძეს** მარიამ დავითის ასულს, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, ამავე ინსტიტუტის უფროს მეცნიერ თანამშრომელს; **მესხიას** შოთა ამბაკოს ძეს (სიცოცხლეში შემდეგ); **ნათმელაძეს** მაყვალა ვასილის ასულს, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, ამავე ინსტიტუტის უფროს მეცნიერ თანამშრომელს; **სურგულაძეს** აკაკი ნესტორის ძეს, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, ამავე ინსტიტუტის უფროს მეცნიერ თანამშრომელს; **ფაფიჩევს** ანდრია მეფეტაროს ძეს, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, ამავე ინსტიტუტის ეროვნული ნაგებობათა ისტორიის ლაბორატორიის ხელმძღვანელს; **ხარაბაძეს** ალექსანდრეს ძეს, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, ამავე ინსტიტუტის ეროვნული ნაგებობათა ისტორიის ლაბორატორიის ხელმძღვანელს; **ბერძენიშვილს** ალექსანდრეს ძეს, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, ამავე ინსტიტუტის ეროვნული ნაგებობათა ისტორიის ლაბორატორიის ხელმძღვანელს; **ბურჭულაძეს** ალექსანდრეს ძეს, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, ამავე ინსტიტუტის ეროვნული ნაგებობათა ისტორიის ლაბორატორიის მეცნიერ თანამშრომელს; **ბაბალიას** ალექსანდრეს ძეს, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატს, ამავე ინსტიტუტის უფროს მეცნიერ თანამშრომელს; **ფუტკარაძეს** ალექსანდრეს ძეს, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატს, ამავე ინსტიტუტის ეროვნული ნაგებობათა ისტორიის ლაბორატორიის მეცნიერ თანამშრომელს; **ბაბალიას** ალექსანდრეს ძეს, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატს, ამავე ინსტიტუტის ეროვნული ნაგებობათა ისტორიის ლაბორატორიის მეცნიერ თანამშრომელს; **ბოსტანეიშვილს

სამშობლოს სადიდებლად, მისი ძლიერებისათვის

დღევანდელ გაზეთში გამოქვეყნებული საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება 1982 წლის სახელმწიფო პრემიების მინიჭების შესახებ ეთნიდან კიდევ თვალნათლივ ადასტურებს პარტიისა და მთავრობის უდიდეს ზრუნვას მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებისათვის.

წლეულადელი პრემია მიეკუთვნა ქართველ ისტორიკოსთა დიდ ჯგუფს, რომელთაც დაასრულეს მრავალწლიური შრომა „საქართველოს ისტორიის ნარკვევები“ — რვატომეული, რომლის გამოქვეყნება მნიშვნელოვანი მოვლენაა ქართულ კულტურისა და მეცნიერების განვითარების ისტორიაში. ეს ვრცელი, განმაზოგადებელი ნაშრომი გადმოგვცემს ჩვენი შობიერი ხალხის, მისი მრავალსაუკუნოვანი ცივილიზაციისა და კულტურის ისტორიას უძველესი დროიდან დღემდე. იგი დაფუძნებულია საქართველოს ისტორიის პირველწყაროებსა და საბჭოთა სოსიტორიო მეცნიერების უახლეს მიღწევებზე; გამოყენებულია ამამდე უცნობი, ახალი საისტორიო მდიდარი მასალა. ამ ფუნდამენტური ნაშრომის დიდი ღირსება ისიც არის, რომ ჩვენი საშობლოს ისტორია წარმოჩენილია მეზობელ ხალხთა და მსოფლიო ისტორიის ფართო ფონზე. ამასთან ღრმად არის შესწავლილი რეკონსტიტუციამდელი და საბჭოთა პერიოდების ისტორია.

დაჯილდოებულთა მეორე ჯგუფში არიან ჩვენი ცნობილი მკვლევარი ექიმები (ვ. სარაჯიშვილი, ვ. გაბაშვილი და სხვ.), რომელნიც საფუძველიანად სწავლობენ და მკურნალობენ უმძიმეს დაავადებას — ეპილეფსიას. დიდ კლინიკურ და ელექტროფიზიოლოგიურ მასალაზე დაყრდნობით აშენებენ ისინი ეპილეფსიის ცალკეული ფორმების ეტიოლოგიისა და პათოგენეზის ფუნდამენტურ საკითხებს, გამოკვლეული ჰყავთ ოკოზეამდელი და სკოლის ასაკის ბავშვები და მოზარდები ეპილეფსიის წარმოშობის პირობების დასადგენად, შეიმუშავეს ამ სენის სხვადასხვა ფორმით დაავადებულთა დიფერენციალური მკურნალობის სისტემა, რომელიც დაინერგა არა მარტო რესპუბლიკაში, არამედ ჩვენი ქვეყნის ეპილეფსიის შემსწავლელ მთელ რიგ წამყვან სამეცნიერო-პრაქტიკულ ცენტრებშიც. ცნობილია, რომ კლინიკური და ეპიპრიმენტული ნევროლოგიის ინსტიტუტი, რომლისაც ხელმძღვანელობს სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი პეტრე სარაჯიშვილი, საბჭოთა კავშირში ეპილეფსიის დარგში მეთაური დწენსებულია.

მეტად მნიშვნელოვანი და პერსპექტიულია გ. რამიშვილის ნაშრომთა ციკლი, სახეთა გამიჯნვების ერთთან აკტუალურ და მასთან ერთად ნაკლებად შესწავლილ დარგს რომ ეხება და მოიცავს სამეტყველო სფეროს ინდიფიდუალურ თავისებურებათა კვლევასა და ვერიფიკაციას, დიტერის ავტომატურ გამოცნობას. ყურადღებას იპყრობს შრომის სიახლე, ორიგინალობა, აქტუალობა, პრაქტიკული გამოყენების ფართო პერსპექტივა და ადამიანსა და მანქანას შორის ურთიერთობაში.

ტექნიკის დარგში პრემია მოიპოვა აგრეთვე სამეშაომ „დამოუკიდებელი აგზნების მქონე ეკ-14 კოქსსარობი ელექტის კალეგა, შექმნა და დანერგა“. შექმნილია და სერიულად დაინერგა წინამორბედებზე უფრო მძლავრი, ელექტროტაციაში საიმედო, მართვასა და მოსახერხებაში მარტივი, ეკონომიური ელეშვალი, რომელიც 1981 წლიდან ელექტროტრიდეს ეგროპის, აზიისა და აფრიკის 14 ქვეყანაში.

წარმოდგენილ სახელმძღვანელოთა შორის პრემია მოიპოვა პროფესორ გ. ვანნაძის „მხიზველობიანი გეომეტრიის კურსმა“. ფრანგ სტრუქტურის თვალსაზრისით დადებითად განსხვავდება ამ დისციპლინის არსებული სახელმძღვანელოებისაგან, უფრო ზუსტად უპასუხებს სწავლების თანამედროვე მოთხოვნებს; აგებულია მტკიცე ლოგიკური მსჯელობის საფუძველზე, ეწვიანთ უკვე ისტუდენტობის რამდენიმე თაობამ.

ის ფაქტი, რომ ცალკეულ მეცნიერებათან და სპეციალისტებთან ერთად დაჯილდოვდნენ მრეველობისა და სოფლის მეურნეობის წარჩინებული მუშაკები, სწორედ რომ დამახასიათებელია ჩვენი სინამდვილისათვის და კვლავ ადასტურებს მუშების, კოლმეურნე გლეხობის, ინტელიგენციის ერთიანობას, ერთი მიზნით ბრძოლას საბჭოთა სამშობლოს ძლიერების ზრდისათვის და მის სადიდებლად.

ე. ხარაძე,
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის სახელმწიფო პრემიების კომიტეტის თავმჯდომარე.

საკავშირო და ასალი კავშირის საგენტოს კორესპონდენტები გვაცნობებენ

საბჭოთა ოსეთის ლენინის ორდენიანი ოქტომბერი
24 თებერვალი

სსრ კავშირი უცხოელთა თვალით

მაღლობა საბჭოეთს

ლუანდა. აქ გაიმართა ანგოლის სახალხო რესპუბლიკაში მომუშავე საბჭოთა სახლვლებლის კურსდამთავრებულთა შეხვედრა.

მასში მონაწილეობდნენ ექიმები, ინჟინრები, დიპლომატები, ქვეყნის სახელმწიფო დაწესებულებათა პასუხისმგებელი მუშაკები, რომლებმაც განათლება მიიღეს სსრ კავშირში. მათ შორის იყვნენ აგრეთვე ლათინური ამერიკის, ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნების წარმომადგენლები, რომლებიც ასრულებენ თავიანთ ინტერნაციონალისტურ მოვალეობას და ახალი საზოგადოებრივობის შენებლობაში ეხმარებიან ანგოლას.

ჩვენ უსაზღვროდ მადლობელი ვართ დიდი საბჭოთისა ეროვნული განთავისუფლებისათვის მებრძოლი ხალხების მუდმივი დახმარებისა და მხარდაჭერისათვის, თქვა საღამოს განხსნისას ლუანდის ცენტრალური ინფექციური საავადმყოფოს კლინიკის დირექტორმა ლუსენგა-მონა დიომმო მანუელმა. მან სხვა ანგოლელ სტუდენტებთან ერთად დაამთავრა პატრის ლუმუმბას სახელობის ხალხთა მეგობრობის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი. სსრ კავშირში ყოფნამ გაამდიდრა ჩვენი წარმოდგენები ცხოვრებაზე, სოციალიზმზე, დიდი ლენინის ქვეყანაზე, აღნიშნა მან. ჩვენი მეგობრობა საბჭოთა ხალხთან დღითიდღე მტკიცდება.

პოლონეთის ამბები

ვარშავა. როგორც პოლონეთის პრესის საგენტო იუწყება, ვარშავაში გაიმართა ეროვნული ნსნის სამხედრო საბჭოს სხდომა, რომლის მუშაობასაც უძღვებოდა ვ. იარუზელსკი.

სხდომის მონაწილეებმა შეაფასეს პოლონეთში შექმნილი ვითარება, აღნიშნეს როგორც ქვეყნის ცხოვრების დადებითი ტენდენციები, ისე ჯერ კიდევ არსებული საფრთხე.

განსაკუთრებით ხაზგასმით აღინიშნა, იუწყება პოლონეთის პრესის საგენტო, რომ სამხედრო წესების ყველა მითითება განუხრელად უნდა სრულდებოდეს. ამავე დროს საბჭომ გამოსცა რეკომენდაციები შემომქმედებითი კავშირებისა და საზოგადოების საქმიანობის განახლების შესახებ. საქმიანობის განახლების ნებართვას მისცემენ იმ შემოქმედებითს ორგანიზაციებს, რომლებისაც სჯერათ, რომ ისინი არ გასცილდებიან საკუთარ წესდებათა ფარგლებს, საერთო კანონებს და სამხედრო წესების მოთხოვნებს.

ვარშავის სამხედრო ოლქის სასამართლოში დაიწყო კონტრრევოლუციური ორგანიზაცია „დამოუკიდებელი პოლონეთის კონფედერაციის“ ლიდერთა პროცესი. ეს სასამართლო საქმე, რომელსაც 1981 წლის ივნისდეკემბერში გაიხილავდა ვარშავის საგოლოთა სასამართლო, სამხედრო სასამართლოს გადაეცა და ხელახლა გაიხილეს 1981 წლის 12 დეკემბრის დეკრეტის შესაბამისად.

განსასჯელთ ბრალად ედებათ, რომ 1979-1980 წლებში მათ პოლონეთის ტერიტორიაზე და საზღვარგარეთ მოიმოქმედეს ღონისძიებანი, რათა დაესუსტებინათ პოლონეთის თავდაცვისუნარიანობა, ძირი გამოეთხარათ საბჭოეთთან მისი სამოკავშირეო ერთიანობისათვის და ძალით დაეშალათ წყობილება, რომელიც პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის კონსტიტუციით არის განსაზღვრული. განსასჯელთ ბრალად ედებათ აგრეთვე, რომ შექმნეს არაკანონური ორგანიზაცია, რომელსაც ფინანსებდნენ და მხარს უჭერდნენ პოლონეთისადმი მტრული პოლიტიკური დიფერსიის ცენტრები, რომ ამ ცენტრებს გადასცემდნენ ინფორმაციას, რომელსაც ისინი იყენებდნენ პოლონეთის საერთაშორისო კავშირების წინააღმდეგ მიმართული ცილისწამებლური კამპანიების გასაჩაღებლად.

ძმადაფიცული

ჩვენი რაიონის მკვიდრთ ახლო ურთიერთობა აქვთ იმ რაიონის მშრომელებთან, რომელთა ტერიტორიაზეც ცხინვალიგარე გეორგიევსკი იმყო ძმობის ისტორიული დოკუმენტი. 1976 წლიდან ორი რაიონი ერთ ოჯახად შეეკავშირდნენ, ძმად შეეფიცენ. ჩვენი ყოფაცხოვრების მნიშვნელოვან ფაქტებთან დაკავშირებით — ეს იქნება სოციალისტური ვალდებულებების მიღება თუ შეჯიბრების შედეგების შეკრება, მოსაკლის დღესასწაულები თუ სხვა საზეიმო დღეები, ეკონომიკის რაიონის მშრომელთა დელეგაციები ჩვენთან არიან, ჩვენი კი მათთან.

ჩვენი მეგობრები სწორედ ახლეტელი შეეფანდებისაგან ეზიარნენ ქართველი ეაკის სიამაყის — ვაზის მოყლა-პატრონობის საიდუმლოსა, დიდი გამოცდილებითა და მეცნიერული კვლევა-ძიებით შემუშავებულ ბის აგროტექნიკას, ისინი კი ჩვენ ჯიშიანი პიროტყვის მოყლა-პატრონობის გამოცდილებას გვიზიარებენ, პრაქტიკულად გვეხმარებიან პირუტყვის ჯიშობრივი გაუმჯობესების საქმეში. არც მატერიალურ დახმარებაა გვაკლებენ. დღეს ჩვენი რაიონის ბევრ მეცხოველეობის ფერმაში, მათი „ველის წოფილი“ ჯიშის პირუტყვი გვყავს. ჩვენ კი მათ ვამარაგებთ ნერგებით და საკუთარი წარმოების იატაკის პარკეტით.

დაძმობილებული რაიონების მშრომელთა შეხვედრებიც ადვილად გამოძებნეს საერთო ენა. აბიტურიენტი და გეორგიევსკელი მოსწავლეები ყოველ ზაფხულს ერთმანეთის პიონერთა ბანაკებში ატარებენ. რუსი და ქართველი პიონერები ერთად ირჩევნიან, ერთად ისვენებენ, ერთად ეზიარებიან მეგობრობისა და ინტერნაციონალიზმის მადლს.

ზრდილთა მეტოქეობაში ჰყვდნ მეგობრობას ახმეტისა და გეორგიევსკის ატლასტერნსპორტო ნაწარმოების, ბიოქიმიური ქარხნების, ადგილობრივი მრეწველობის კომბინატებისა და სხვა შრომითი კოლექტივები.

გეორგიევსკელმა მეგობრებმა ამას წინათ წერილით გვაცნობეს, რომ სსრ კავშირის დაარსების მე-60 წლისთავისა და გეორგიევსკის ტრაქტატის მე-200 წლისთავისადმი მზადების დღეებში აწყობენ კვირეულს, რომელიც ეძღვნება საბჭოთა საქართველოს დღესასწაულს, ჩვენი რაიონების მშრომელთა მეგობრობას. კვირეულზე [illegible] ბოლოს ავად [illegible] ბოების მიერ [illegible] ბულებისა და [illegible] ებების მიერ [illegible] ბები, ქართული ფილმების ჩვენება, რომლებშიც ასახულია რუსი და ქართველი ხალხების ურყევი მეგობრობა. გათვალისწინებული აქვთ აგრეთვე ლექციების ციკლი გეორგიევსკის ტრაქტატის ისტორიული მნიშვნელობის შესახებ და სხვა. ასეთი ღონისძიებები დაგეგმილია მათს საბავშვო ბაღებში, კომკავშირულ ორგანიზაციებში, შრომითს კოლექტივებში, გაიმართება სპორტული შეჯიბრებები „გეორგიევსკისა და ახმეტის რაიონების მეგობრობის თასსა.

ჩვენი რუსი მეგობრების ბევარ სითბოს და მოწიდმებას აც ჩვენ ვტოვებთ უპასუხოდ, კიდევ უფრო გაზრდილ ვალდებულებებს ვკისრულობთ მეგობრობის განმტკიცებისა და ჩვენი ქვეყნის შემდგომი ძლიერებისათვის.

ვ. ბაბიაშვილი,
პარტიის ახმეტის რაიკომის პირველი მდივანი.



ქართული ჩარხების შემქმნელნი

ჩვენ ვიმეოფებით თბილისის ჩარხშენებლების სპეციალურ საკონსტრუქტორო-ტექნოლოგიურ ბიუროში. მის ნაოელ სახელოსნოებში, ტექნიკურ ლაბორატორიებსა და ექსპერიმენტულ საამქროებში იბადება და „სიცოცხლეს“ იწყებს ქართული ჩარხების მოდელები.

1936 წელი. ეს იყო პირველი ქართული სახარატო ჩარხის შექმნის წელი. მას შემდეგ მრავალი წელი გავიდა. თბილისში შექმნილი პაპარა საკონსტრუქტორო განყოფილება საკონსტრუქტორო ბიუროდ გადაიქცა. ახლანდელი სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროა, სადაც ოთხასი კაცი შრომობს. ჩვენი რესპუბლიკის ერთ-ერთი უდიდესი საკონსტრუქტორო ცენტრია.

საკმარისია მოვიყვანოთ ახალი ფაქტი: საქართველოს კონსტრუქტორებმა შექმნეს 525 მოდელის სხვადასხვა ჩარხი, რომელთაგან დიდი ხანია იყენებენ ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხეში და უცხოეთში.

85 მოდელის ქართულ ჩარხებს მინიჭებული აქვს ხახელმწიფო ხარისხის ნიშანი.

სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის ამჟამად ბიუროში პროექტდება ახალი უნივერსალური სახარატო ჩარხი მიკროელექტრონიკის საშუალებით და ავტომატიული მართვით.

ს. კილაძე.

სურათებზე: ზემოთ — სპეციალური ჩარხების საკონსტრუქტორო-ტექნოლოგიური განყოფილება № 2; საკონსტრუქტორო განყოფილების უფროსი ვ. კეკრიდაშვილი, მთავარი კონსტრუქტორი გ. ზვონარევი და ლაბორატორიის გამგე გ. დიანენკო, კონსტრუქტორები თ. ჯანეზაშვილი, ს. ბაბატურიძე, წამყვანი კონსტრუქტორი ლ. ბაშუროვი და დიზაინერი ვ. გუგეშაშვილი განხილავენ ახალი ჩარხსაჭრელის მაკეტს.

ავტორის ფოტო.



ახალმოსახლეობას გილოცავთ, თეატრო!

ოფხაჯეთის ასსრ კულტურულ ცხოვრებაში კიდევ ერთი ღირსშესანიშნავი მოვლენა მოხდა. ავტონომიური რესპუბლიკის დედაქალაქის ცენტრში ლენინის ქუჩაზე თანამედროვე სტილით ნაგებ ლამაზ შენობაში ახალმოსახლეობას ზეიმობს სოხუმის ქართული სახელმწიფო დრამატული თეატრი.

სოხუმის საზოგადოებრიობა დიდ ინტერესს იჩენს თეატრის ახალი სეზონისადმი, რომელიც სწორედ ახალ შენობაში გაიხსნება. თანაც, თეატრს ახალი დირექტორი და მთავარი რეჟისორი ჰყავს. ეს მისია იკისრა ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ **გიორგი ჭავთარაძემ.** აი, რაა გვიამბობს იგი:

— ჩვენი თეატრი ახალმოსახლეობას ზეიმობს. მივიღეთ დიდი გემოვნებით აგებული ხუთსადგილიანი შენობა. შეიძლება ითქვას, ეს ჩვენი თეატრის ახალი ცხოვრების დასაწყისია.

წლეულდელი სეზონი ჩვენთვის განსაკუთრებულია. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 61-ე წლისთავს აქ ახალი სპექტაკლით აღვნიშნავთ. 25 თებერვალს მაყურებელს ვუჩვენებთ ლენინური პრემიის ლაურეატის ნოდარ დუმბაძის „მარადისობის კანონს“. სპექტაკლის დამდგმელად მოვიწვიეთ თბილისის გრიბოედოვის სახელობის დრამატული თეატრის რეჟისორი, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე გ. ეორდანია.

ახალ სპექტაკლში მთელი დასი მონაწილეობს და მონდომება და პროფესიული პასუხისმგებლობა, რომელსაც ჩვენი კოლექტივი იჩენს, ვფიქრობთ, სასურველ შედეგსაც მოგვცემს. ჩვენს კოლექტივს კარგად აქვს შეგნებული ის დიდი მოვალეობა, რომელსაც გვაკისრებს ავტონომიური რესპუბლიკის პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელთა ყოველდღიური ყურადღება და მზრუნველობა, აგრეთვე ჩვენი მაყურებლის მოლოდინი.

ამრიგად მაყურებელს ვუჩვენებთ ალ. ჩხაიძის ახალ პიესას — „სამიდან ექვს საათამდე“. გამზადებთ ჰ. ამორეკოს „დათა თუთაშხიას“. ეს იქნება ჩემი რეჟისორული დებიუტი სოხუმის თეატრში. სპექტაკლი ჩაფიქრებული გვაქვს ორ საღამოდ და, ვიმედოვნებ, სასიხარულო თეატრალური შეხვედრა გვექნება მაყურებელთან. ამ რომანის სცენური ვარიანტს ამეშავებს მწერალი ა. ბაჭრაძე. წელსვე მაყურებელს ვუჩვენებთ მ. გორკის პიესას „ფსკერზე“ და ჰ. იბსენის დრამას „ბრძოლა ტახტისათვის“.

სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავისათვის უთუოდ დავდგამთ რომელიმე აფხაზი მწერლის პიესას, კონკრეტულად რომელს, ეს მალე დაზუსტდება.

გადაწყვეტილი გვაქვს ჩვენთან ერთად ერთ-ერთ ადგილზე ეკლესიის ფუნქცია არ შემოსაზღვროთ მხოლოდ მაღალმატერიული საქმეებით. თეატრში პერიოდულად მოვაწყობთ ხოლმე ხელოვნების სხვადასხვა დარგის მუშაკებთან, მეწარლებთან, უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებთან და პროფესორ-მასწავლებელთა კოლექტივებთან საქმის შეხვედრებსა და საღამოებს, მხატვართა ნამუშევრების გამოფენებს. ყველაფერი ეს კიდევ უფრო შეუწყობს ხელს მაყურებელთან თეატრის დაახლოებას.

სიამოვნებით მინდა აღვნიშნო ის დიდი ინტერესი, რომელიც ჩვენი თეატრისადმი იჩინა აფხაზეთის საზოგადოებრიობისგან. მომავალ სპექტაკლებზე დასასწრებად კოლექტიური განცხადებები მოაქვთ არა მარტო ქართველ, არამედ აფხაზ, რუს, სომეხ და სხვა ეროვნების წარმომადგენლებს.

გ. ქავთარაძის გარდა, ჩვენ სხვებსაც ჩამოვართვეთ ინტერვიუ:

მ. ჩუბინიძე, სოხუმის ქართული სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი: მინდა ვისარგებლო შემთხვევით და ეფრქვესი მადლობა გადავუხადო პარტიასა და მთავრობას ჩემი შრომის ესოდენ მაღალი შეფასებისათვის — სსრ კავშირის სახალხო არტისტის მაღალი წოდების მონიჭებისათვის.

ჩვენი კოლექტივი მოუთმენლად მოელოდა ახალმოსახლეობას. სულითა და გულით ვულოცავ ჩემს კოლეგებს, ყველა მაყურებელს თეატრის ახალი შენობის გახსნას.

მ. ახალაია, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს სსრ დამსახურებული. გამომგონებელი: — ჩვენი თეატრის სახელოვან კოლექტივს ვულოცავ ახალ შენობას. ეს ფაქტი ერთხელ კიდევ ადასტურებს პარტიისა და მთავრობის ზრუნვას თეატრალური ხელოვნებისადმი. მოხარული ვარ, რომ თეატრის კოლექტივს შესაფერი პირობები შეექმნა შემოქმედებითი მუშაობის უკეთ წარმართვისათვის. იმედია, რომ თეატრი გაგვახარებს შესანიშნავი სპექტაკლებით.

ი. ცუცქირიძე, სოხუმის შოთა რუსთაველის სახელობის პირველი ჩაუფალი სკოლის ისტორიის მასწავლებელი: აღტაცებით ვეუფლებოდი აფხაზეთის მშრომელთა ეულისთქმას იმ დიდი მოვლენის გამო, რომელიც ჩვენს მშობლიურ ქალაქში მოხდა. ვულოცავ ჩვენ ახალმოსახლეობას.

მ. ალანიდია, ქარხანა „სოხუმხელსაწყოს“ მუშა: ჩვენი ქარხნის მშრომელები, რომელთა უმრავლესობა ახალგაზრდობაა, სიხარულით შეხვდნენ ქართული თეატრის შენობის გახსნას, იმას, რომ სახელოვან დასს მუშაობის კარგი პირობები შეექმნა. პირადად მე და მთელი ჩვენი კოლექტივი მხურვალედ ვულოცავთ თეატრს ამ მნიშვნელოვან მოვლენას და ვუსურვებთ შემდგომ დიდ წარმატებებს.

ა. არღუნი, აფხაზეთის ასსრ კულტურის მინისტრი: სახელოვანი ტრადიციების მქონე სოხუმის ქართული თეატრის კოლექტივს სულითა და გულით ვულოცავ ახალი სეზონის გახსნას. ამგვარ სასაყეთო პირობებში. ეს მოვლენა თანაბრად ახარებს აფხაზეთის ყველა ერის წარმომადგენელს, ეს ყველა ჩვენთაგანის ზეიმია. ეჭვი არ არის, რომ ქართული თეატრის კოლექტივი ამ დიდ სიხარულს ახალი შემოქმედებითი მიღწევებით უპასუხებს, ღირსეულად წარმოაჩენს სცენაზე ცხოვრებისეულ, მართალ სახეებს, და ამით მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს მშრომელთა კომუნისტური აღზრდის დიდ საქმეში, აფხაზეთის, მთელი ჩვენი რესპუბლიკის ხალხთა მეგობრობისა და ძმობის განმტკიცების საქმეში.

ი. გოგბერია,
„კომუნისტის“ სპეც. კორ.

სურათებზე: (ზემოთ) სოხუმის ქართული სახელმწიფო დრამატული თეატრის ახალი შენობის ხედი; (ქვემოთ) ტპეტაკლ „მარადისობის კანონის“ სცენა. საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე გ. ქავთარაძე (ბაჩანა რამიშვილი), სსრ კავშირის სახალხო არტისტი მ. ჩუბინიძე (მამა ირორამი); მსახიობი დ. ჯაიანი (ვაჩო ამბოკაძე).

ი. ბოგონელიძის ფოტო (საინფორმაციო ფოტოკორესპონდენტი).

ШТРИХЕБИ ПОРТРЕТИ-САТВИС

КЕЛАВ ГАЗАЦЕБИТ

ЕОКОДАР ЖОРЖИАНИ! საქართველოში ძნელად იპოვი კაცს, მისი სახელი რომ არ იცოდეს და ამ ალალ-მართალი ვაჟკაცის გულწრფელობაში ეჭვი შეეტანოს. არა მარტო ქართული, მთელი საბჭოთა სპორტის კორიფეთა კოპორტის ღირსეული წარმომადგენელი, დღესაც, როცა უკვე სამოცდამეერთე გაზაფხულს ხვდება, მისთვის ჩვეული ენერგიით, ჭაბუკურად ემოციური, მკვახედ მოგახლით სიმართლეს პირში ისე, რომ ცხენის შეკაზმვა არ დასჭირდება განსარდებლად და სამალავად. იქნებ მისი სიმართლე ზოგიერთს არც ეკუბნეკეთოდეს, ზოგს ზომაზე მეტად გადაჭარბებულადაც ეჩვენოს, მაგრამ, ვინც გულდებით და საღად ჩაუფიქრდება მის ნათქვამს, უთუოდ იგრძნეს, რომ ეს კაცი რესპუბლიკის ღირსეული შვილია, ქართული სპორტის და უწინარესად ალათბერთის ალმავალი გზით სვლა. სათვის ერთთავად შეუპოვარი მებრძოლი იყო ნოდარ ჯორჯიანი ჭაბუკობაშიც და ასეთია ახლაც, რაცა წლების სმრავლემ თითქოს ქედი უნდა მოაბრეგინოს. იგი კვლავ შემართული, კვლავ ალალ-მართალი, დაუცხრომელი, შებღალსნილი და ხალასია. ქართული კალათბურთის ქომაგებს სხვანაირი ნოდარ ჯორჯიანი ალბათ ვერც წარმოუდგენიათ. მისთვის პირადი უკანა პლანზეა, წინაზე კი რესპუბლიკაში სპორტის ალმავლობა, მისი სახელის საკავშირო თუ მსოფლიო სარბიელზე გატანა. და თუ ვინმემ ქართველ სპორტსმენთაგან შეურკვევნლად ატარა ქართული კალათბურთის დროშა, ბარიტატართა შორის ერთ-ერთი მთავარი ნოდარია. თანატოლეს დღესაც ახსოვთ ჯორჯიანის პირველი გაბრწყინება კალათბურთელთა სტუდენტურ გუნდში, ეს იყო, მაშინ, როცა თბილისის „მეცნიერება“ (დღეი სამპოლო ოქმის დაწყებამდე) საკავშირო ჩემპიონატში მონაწილეობდა. ომისდროინდელ თანამებრძოლებს კი კარგად ახსოვთ, თუ რა თავდადებით იბრძოდა ნოდარ ჯორჯიანი სამშობლოს დასაცავად ვერმანელი ფაშისტებისაგან სამხრეთისა თუ ჩრდილო კავკასიის ფრონტებზე. ახსოვთ ისიც, მხედრული მამაცობისათვის საბრძოლო ჯილდოებით თბილისს დაბრუნებული კვლავ საკალათბურთო ბატალიებში რომ ჩაება. გვახსოვს და რა დაგავიწყეს, რომ მან და ქართული სპორტის კიდევ ერთმა უშესანიშნავესმა წარმომადგენელმა — ოთარ ჭარქიამ საბჭოთა კალათბურთის ისტორიაში პირველებმა როგორ ჯორჯიანი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პასუხისმგებელი მუშაკია, სადაც სწორედ სპორტის საქმეებს უძღვება საქმის ღრმა ცოდნით.

ჯ. ენუქიძე.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 უე 09095 საქართველოს კპ ცკ-ის გაზეთი ლენინის ორდენიანი ოქტომბერი, საბჭოთა კორპუსი, ბოდბისუფლის 29, 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19

ყაბალი

საფურნალო ორბიტა

კლასიკური ბიდაობა. შეეციის ქალაქ ვესტეროსში დამთავრდა „ბელარუნის თასად“ წოდებული საერთაშორისო შეჯიბრება. საბჭოთა სპორტსმენებმა სამი პირველი ადგილი მოიპოვეს. **მათ შორის თავი იხახელა მსოფლიო ჩემპიონმა თბილისელმა მიხეილ სალაძემ (100 კგ-მდე წონითი კატეგორია).** პირველი ადგილები დაიკავეს აგრეთვე კოვალენმ ვ. ჩიკოვემ (52 კგ) და ვიტებსკელმა ი. კანიგინმა (90კგ).

ფეხბურთი. გაიმართა საკავშირო თასის გათამაშების პირველი ეტაპის მორიგი კალენდარული მატჩები. გთავაზობთ შედეგებს: **ალდრი.** დონეცკის „შახტიორი“-ლაჩხუთის „ტურია“ — 2:0, ბაროსლავლის „მინაკი“ მოსკოვის „ტორპედო“ —0:1, ვორონეჟის „ფაკელი“-მოსკოვის „დინამო“ — 0:1; **სიმფეროპოლი.** დნეპროპეტროვსკის „დნეპრი“-კიშინიოვის „ნისტრუ“ — 1:0, სიმფეროპოლის „სტავრია“-ოდესის ასკ — 1:0, ზაპოროჟიეს „მეტალურგი“-ოდესის „ჩერნომორეცი“ — 1:0; **ერევანი.** ტაშკენტის „ფახთაკორი“- კიროვის „დინამო“ — 1:0, ნიკოპოლის „ყოლოსი“-ცსკა — 0:1; ჯოჯორეთი „ზვეზდა“-ერევნის „არარატი“ — 0:1; **ბაკო.** როსტოვის ასკ-ვოლგოგრადის „როტორი“ — 3:2, დუშანბეს „პამირი“-ხარკოვის „მეტალისტი“ — 1:2, კიევის ასკ-ბაკოს „ნეფთჩი“ — 0:2.

ხელბურთი. გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში დაიწყო ვაყთა გუნდების მსოფლიო ჩემპიონატი. სსრ კავშირის ნაკრებმა პირველი მაჯრი გამართა ესლინში და დამარცხა ჩეხოსლოვაკიის გუნდი — 31:17.

ბადრაკი. არგენტინის ქალაქ მარ-დელ-პლატაში გრძელდება ვაყთა საერთაშორისო შეჯიბრება. ბოლოსწინა, მეთოერთმეტე ტურის შემდეგ ჰოლანდიელ ტმანს 9 ქულა აქვს (1 გადადებული პარტია), უხგერ პორტიშს — 7 (1), პოლუგაევსკის — 7, კარპოვს — 5 (2).

კალათბურთი. გაიმართა ვაყთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მორიგი კალენდარული მატჩი. ცსკამ მიიღო რიგის ვეფი და დამარცხა ანგარიშით 102:99.

სხარტულა

ღვინო, ტიკი და კაცი

— ღვინოვ! ტიკუ როგორ იცნობ?

— სანამ ვესტუმრები, ნაქცეულია და როცა გავავსებ, ფეხზე დადგება ხოლმე.

— კაცს როგორღა იცნობ?

— სანამ ვესტუმრები, ფეხზე დგას და როცა გაივსება, ნაიქცევა ხოლმე.

არ გათეთრდების ყორანი...

მლიქნელს შეუტია უფროსმა:

— საქვეყნო საქმისათვის მთა უნდა მოგლეჯო.

— მთის მოგლეჯისა რა მოგახსენოთ, უფროსო, და ქედს კი ყოველთვის მოგიხრიხთ.

ინტერვიუ მეკრთამესთან

— რამდენი სთხოვე?

— ხუთი.

— რამდენი „მოგცეს?“

— ათი.

გამომძიებელი ნადიმზე

— მიბძოძეთ, ქალბატონო, შაპანურის გახსნის ოსტატი გყ. ლავართ!

— ინებეთ, გეთაყვა, და ღმერთმა ქნას ასეთივე ოსტატი ბრძანებულიყოთ საქმეების გახსნაშიც.

აი საქმე!

— როგორ გქონდა საქმე, რა ცა რევიზორი მოპრძანდა?

— არც მატება მქონდა და არც დანაკლისი.

— როცა წაბრძანდა?

— დანაკლისი გამიჩნდა.

ვითომ უბრალო?!

— სულ უბრალო მიზეზი გამამთავისუფლეს კოლმეურნეობის თავმჯდომარეობიდან.

— მაინც რა მიზეზით?

— გოგრა არ გივარგაო.

ვ. ჯაბრიშვილი.

რედაქტორი
გ. ბედინიშვილი

ტელევიზია

25 თებერვალი

პირველი პროგრამაა: 9.00 — „ვრეშია“ (მ.), 9.40 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ზღვის მშრომელები“, 10.00 — „მოამბე“, 10.30 — მეხუთე კლასის მოსწავლეთათვის — მათემატიკა, 11.00 — ხელოვნების ისტორია კონცერტი, 11.45 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „სერგო ზანარაძე“, 12.50 — კინოჟურნალი, 13.00 — ბითლოგიის ტელეკურსი, 13.30 — ქართული ფილმი — 60. „ეკრანზეა კინოკომედია“ — „მხიარული რომანი“, 14.40 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „დაბადების დღე“, 15.50 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმები: „ჩვენ რუსთაველ ვართ“ და „სოფლის ეტიუდი“ (მ.), 16.35 — ს. ნასიძე. სიმფონია № 5 „ფიროსმანი“ (მ.), 17.00 — ზეიმსწავლეთა ფრანგული ენა, 17.30 — მოსწავლეთათვის — „ეუოდეთ სამშობლოს“, 18.00 — საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების 61-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომის ტრანსლაცია თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრიდან, 19.20 — საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების 61-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო კონცერტის ტრანსლაცია ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერის და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრიდან, 20.30 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმ-მატიანე „საბჭოთა საქართველო, წელი — 61“. პატმიერა, 22.00 — „ვრეშია“ (მ.), 22.35 — „ქართული ენის ფატრონიდან“. ქართული მხატვრული ფილმი „ორსენა ჯორ